43

წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 30 მარტი, 1921 წ.

№ 23 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 23

საქ. კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს საბჭოთა. რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს, მიაწოდონ ცეკას ცნობათა ბიუროში თავისი მისამართები საჩქაროთ (კრუზენშტეინის ქ. № 4.)

ს. კომპარტიის ცეკა.

მოლაყბე „დამფუძნებელთა" დასასრული

თანახმათ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტისა, დათხოვნილ იქმნა ეგრეთ წოდებული „ბატონი საქართველოს მიწისა", დამფუძნებელი კრება. სამი წლის მეტი მანძილით შევიქენით ჩვენ დაცილებული იმ მომენტიდან, რაც ძლევამოსილმა რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ, საბჭოთა აღმასრულებელი ორგანოს ხელით მკვეთრი ხმალი დაუშვა ბურჟუაზიის მოსამსახურეთა კისერზე და ჟამთა დავიწყების საფლავს მიაბარა რუსეთის „უჩრედილკა". ამ დაგვიანებაში გამოიხატა, სხვათა შორის, ჩვენი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამორჩენა რუსეთთან შედარებით და ზემოხსენებული დეკრეტით, როგორც ყველა უკანასკნელი ამბებით საქართველოში, გასწორებული შეიქნა ჩვენი ნებისყოფის გავლენის გარეშე დაშვებული „ისტორიული უსამართლობა".

სოციალისტური რევოლიუციის ხანაში, როდესაც დრომოჭმული ძველი ეკონომიური რეჟიმის სიდუხჭირე აშკარა შეიქნა მის მიერ გამოწვეულ ათეულ მილიონობით ავაზაკურათ ხალხის გაჟლეტითა და მსოფლიო ეკონომიური დოვლათის განადგურებით თვით ამ რეჟიმის დამცველთათვისაც და კაპიტალიზმი კატასტროფიული დაშლის პროცესში დარჩა სასიკვდილოთ ჩათრეული, საქართველოს მენშევიკური პარტია, მოქცეული ქვეყნის სათავეში, შეუდგა სწორეთ ამ დროს, თავის ბატონებზე გამარჯვებულ დიდ საბჭოთა რუსეთის გვერდით, ბურჟუაზიულ ეკონომიკის აღმშენებლობას მის დამცველ სახელმწიფოთი. ამ ბურჟუაზიული ჩხირკედლაობის ორგანო იყო დღეს დათხოვილი დამფუძნებელი კრება და მას უნდა სწვეოდა ბედი ამდგარი ხალხის მიერ დამარცხებული მენშევიკური რეჟიმისა.

არჩეულს თითქოს ხალხის მიერ, მას ხალხის ხმა არ ესმოდა. მოვლინებულმა თითქოს მის კეთილდღეობის გამოსაჭედათ, მან, უპასუხისმგებლო მენშევიკური კამარილიის მეთაურობით, ხელში ჩაუგდო როგორც თავის ეკონომიური, ისე საგარეო და საშინაო პოლიტიკით ქართველი მშრომელი მასების, მთელი ერის ბედი, საჯიჯგნათ შინაურ და გარეშე სპეკულიანტებს, ევროპის იმპერიალისტებს და რუსეთიდან გამოქცეულ რეაქციონერებს; მან გახადა საქართველო მათ ბუდეთ და იარაღათ სოციალისტურ რევოლიუციასთან, მის ხელმძღვანელ რუსეთთან საბრძოლველად.

საქართველოს რევოლიუციონური მუშები და გლეხკაცობა სიხარულით მიეგებება ახალი მთავრობის დეკრეტს და შეუდგება თავის სახელმწიფოებრივ საბჭოთა ორგანოების შექმნას. ეს ორგანოები იქნებიან პრინციპიალურად განსხვავებული დათხოვნილ დამფუძნებელ კრებისა და მისი მთავრობისაგან, როგორც ერთი მეორის მოწინააღმდეგე სოციალური ბუნების არიან ბურჟუაზიული ხელისუფლება და საბჭოთა მთავრობის სისტემა. სოციალისტური რევოლიუციის დროს, კაპიტალიზმის ნგრევის ხანაში, პროლეტარიატი საჭიროებს თავის დიქტატურას, მისი დღეს ერთათ-ერთ უნივერსალურათ მიჩნეულ ფორმით, მუშათა და ღარიბ გლეხკაცობის საბჭოებით, თავის კანონმდებელ და იმავე დროს აღმასრულებელ ფუნქციებით და არა ბურჟუაზიულ პარლამენტს, რომელიც ზედნაშენია წარსული დროის რეჟიმის.

ამიტომ რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტი ბურჟუაზიული პარლამენტის დათხოვნის შესახებ, უნდა შეიქნეს იმავე დროს საქართველოს მშრომელი მასებისთვის ძლიერ სტიმულათ მუშათა და გლეხთა საბჭოების მოსაწყობათ, მათ დასაკავშირებლათ, გასაძლიერებლათ და ამნაირათ მათ მედგარ ძალათ გადასაქცევათ. ძალა-უფლება ჩვენ ხელშია, მტერი დამარცხებულია, მისი ორგანოები დაშლილი. ჩვენ უნდა განვავითაროთ მაქსიმუმი ჩვენი ენერგიის, გავაღვივოთ, გამოვაცოცხლოთ და ავამოქმედოთ მუშათა ხალხში დაგროვილი, მარა მენშევიკების დიქტატურით მიძუნებული, შემოქმედებითი ძალა, ვსძლიოთ ძველი მთავრობის ეკონომიური სისტემით გამოწვეული უკუღმართობანი და გადავაქციოთ საბჭოთა საქართველო სოციალისტურ რევოლიუციის ძლიერ ფაქტორათ აღმოსავლეთში.

შევესიოთ საბჭოთა აღმშენებლობით საქმეს, რომელიც ჩვენ გვიცდის!—ასეთი უნდა იყოს ჩვენი გამოძახილი საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტზე. ჩვენ გვწამს, რომ მთელი ძალების მობილიზაციით, მათი განაწილებით და სათანადო გამოყენებით ჩვენ მივაღწევთ ამ უახლოეს მორიგ დიდ მიზანს.

მენშევიკების საქმიანობა.

სხვათა შორის, ერთი ახირებული თვისება დასჩემდათ მენშევიკებს. ეს იყო თავის ვინაობის და მოღვაწეობის გაზვიადება. ისინი ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახოდნენ თავიანთ აღმშენებლობით ნიჭსა და უნარზე; თუ დაუჯერეთ, მათ ქართველ ხალხის მდგომარეობა ყოველმხრივ შეუდარებლად გააუმჯობესეს, მას კეთილ-დღეობა, ბედნიერება მიანიჭეს. მენშევიკებმა ტრაბახის ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომელმაც ზოგიერთების თვალი თუ შემეცნება დააბრმავა და აფიქრებინა, თითქო ხალხის სასარგებლოდ ისინი რამეს აკეთებდნენ. სამი წელიწადი განუკითხავად იბატონეს მათ (საქართველოში. ეს ხანა საკმაო იყო, რომ შემოქმედებითი უნარი და ენერგია გამოეჩინათ, თუ ასეთი თვისებები გააჩნდათ. მოკლედ, სქემატიურად გადავხედოთ, ჯამი გაუკეთოთ მათ ნამოქმედარს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების ზოგიერთ დარგში და მშრომელ მასსებს წარუდგინოთ მსჯავრის დასადებად.

1.

ეკონომიკა.

ამ სფეროში განსაკუთრებით მენშევიკების დამახასიათებელი იყო შემთხვევის და ანარქიის პოლიტიკა. მათ ვერ შეიმუშავეს ერთი მთლიანი გეგმა და სისტემა, რომლის მიხედვით უნდა მოწყობილიყო სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრება. და როდესაც ეკონომიური კრიზისი იმდენად მწვავე შეიქმნა, რომ საფრთხეს უმზადებდა მთავრობას და მის მორჩილ დამფუძნებელ კრებას, ამ უკანასკნელმა, წარსული ბიუჯეტის განხილვის დროს, მოკრძალებით აღნიშნა ეს გარემოება (გეგმის უქონლობა) და საჭიროდ დაინახა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დაარსება, რომელსაც უნდა შეესწავლა სახელმწიფოს ეკონომიური ვითარება, გამოენახა სათანადო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსაკეთებლად და შეეთანხმებინა ამ დარგის სხვადასხვა ორგანოების მუშაობა. მაგრამ ყოფ. მთავრობა და დამფუძნებელი კრება ალბად, არ იყვნენ დარწმუნებული თავის ძალაში და არც ცდილან აღნიშნული დადგენილება სისრულეში მოეყვანათ. გუშინდელი მმართველები, თითქო დამბლა დაცემულნი და ფატალისტური განწყობილებით მოცულნი, გულზე ხელ დაკრეფილნი უყურებდნენ მოვლენათა საბედისწერო მსვლელობას, ობიექტიური ვითარება კი საქართველოში ისეთი იყო, რომ შეიძლებოდა ბევრი რამეს გაკეთება.

ფრონტის ლიკვიდაციისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში დარჩა უამრავი ქონება: საომარი მასალა, სურსათ-სანოვაგე, ფართლეულობა, მედიკამენტები და სხ. ამ სიმდიდრის მიზანშეწონილათ გამოყენება და მოხმარება დიდ შეღავათს მისცემდა მშრომელ მასებს. მაგრამ ყველამ იცის, რომ დარჩენილ სიმდიდრიდან მუშა კლასს არაფერი რგებია. მრავალრიცხოვანი სავსე საწყობები მოხერხებულმა მენშევიკებმა სისტემატიურად დასცალეს, რასაკვირველია, პირადი კეთილდღეობისა და სპეკულიაციის მიზნით. ყოფილმა მთავრობამ ვერ მოახერხა ამ ქონების მოვლა პატრონობა. თვით ანგარიში, სიმდიდრის [illegible]ოდენობისა და დაბარჯვის შესახებ, გასაგები მოტივებით, არ იყო შედგენილი.

ამას გარდა, ადგილობრივი პირობები და საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობა ხელს უწყობდნენ საქართველოში ეკონომიურ ცხოვრების მოვარებას, მრეწველობის აღორძინებას და განვითარებას. ბლომად მოგვეპოვებოდა ქარხნებისათვის საჭირო ნედლი მასალა: მატყლი, აბრეშუმი, ქვანახშირი, ხეტყე და სხვა. სავალიუტო საქონლის საშუალებით შესაძლებელი იყო საქარხნო მოწყობილობის შეძენა საზღვარგარედ, სპეციალისტების მოწვევაც არ იყო ძნელი, გვყავდა ადგილობრივი ტეხნიკური ძალებიც. საერთაშორისო ბაზარზე საქონლის შიმშილი იყო, ასე რომ ჩვენში დამზადებულ თუ გინდ შედარებით მდარე ფაბრიკატს მეტოქე არ გაუჩნდებოდა. წარმოების დაწყება ადვილი იყო იმის გამოც, რომ ჩვენში სამოქალაქო ომი არ მძვინვარებდა და შედარებით მშვიდობიანობა სუფევდა; ჩვენი ქვეყანა არ განიცდიდა აგრეთვე ევროპის ბლოკადის სიმძიმეს. მიუხედავად ასეთი სახეირო პირობებისა, მენშევიკურმა მმართველობამ სამი წლის განმავლობაში ერთი მასსიურ მოხმარების ქარხნის გახსნა ვერ მოახერხა. თავდაპირველად ახირებული აზრისანი იყვნენ, თითქო მეურნეობის მოწყობა არ შეადგენდეს სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობას, თითქო ეს იყოს საქმე კაპიტალისტებისა. ჯერ იყო და კერძო ინიციატივას მიანიჭეს შეუზღუდველი თავისუფლება, თითქო კაპიტალისტები ხალხისათვის რაიმე სასარგებლოს გააკეთებდნენ, ქარხნებს გამართავდნენ, ღირებულებას შექმნიდნენ. მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს თავისუფლება ალვირ-ახსნილ სპეკულიაციისთვის გამოიყენეს და მდგომარეობა უფრო გაამწვავეს. შემდეგში, მმართველმა პარტიამ (იგულისხმება სიტყვით და ქაღალდზე მხოლოდ) აღიარა სახელმწიფოებრივ და კოლექტიურ მეურნეობის უპირატესობა, მაგრამ საქმით კი ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა; პირიქით, რაც იყო, ისიც გაანადგურეს.

ვერც სოფელს მიაქციეს მენშევიკებმა ყურადღება, სამეურნეო ცოდნის გავრცელებით, საცდელი მინდვრების დაარსებით, საჭირო იარაღების მიწოდებით და სხ. მიწის მუშა, თავის ანაბარა მიტოვებული, ადამის დროინდელი თოხით და მამა-პაპათაგან გადმოცემული გამოცდილებით განაგრძობდა მიწის დამუშავებას, რაც დიდ ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა, ხოლო მეტად მცირე ნაყოფს იძლეოდა. რაც შეეხება ე. წ. აგრარულ რეფორმას (ამაზე ცალკე), მას არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია გაჭირვებულ ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ფაქტიურად მიწები შერჩათ ისევ მემამულეებს ან ჩაიგდეს ხელში ტარიელ მკლავაძეებმა; ღატაკ გლეხობას კი არაფერი რგებია.

შემდეგ: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და სავალიუტო საქონლის სიუხვე ხელს უწყობდა მენშევიკებს, საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოეწყოთ და ამით ეკონომიური კრიზისი შეენელებინათ. გამოცხადებულ იქნა კიდეც მონოპოლია ისეთ საგნებზე, რომელიც ევროპას ძალიან ესაჭიროებოდა: თამბაქო, მატყლი, აბრეშუმის პარკი, და სხ. ამ ძვირფასი და საკმაო რაოდენობის სავალიუტო საქონლით უფრო დიდ სახელმწიფოს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა. მენშევიკებმა აქაც გამოიჩინეს უუნარობა და სიკოტრე. ამ საქონლის საუკეთესო ნაწილი მისთვის მიყენებულ „თავიანთი" კაცების წყალობით სადღაც გაქრა, დანარჩენ, ღირსებით უფრო მდარე და მოუვლელობისაგან გაფუჭებულმა ნაწილმა ევროპის ბაზარზე სახელი გაუტეხა საქართველოს საქონელს; ამას დაემატა, მენშევიკებისათვის დამახასიათებელ ბიუროკრატიზმის გამო, დაგვიანება საქონლის მიწოდებისა ევროპის ბაზრისათვის, რამაც დასცა მისი მოთხოვნილება. გარდა ამისა სავალიუტო საქონელი ვერ მოიხმარეს ხალხის საჭიროებათა სათანადოთ დასაკმაყოფილებლათ იმ წრეების გავლენის გამო, რომლებმაც ხელთ იგდეს ეს საქმე.

ამნაირათ ყოფილი მთავრობა ამით ემსახურებოდა მხოლოდ საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტების და ადგილობრივ ბურჟუაზიის ინტერესებს: პირველნი ადვილად ასაღებდნენ არა საჭირო და იძენდნენ აუცილებელ საგნებს, ხოლო მეორე იკმაყოფილებდა ფუფუნების მოთხოვნილებას და გემოვნებას. ასე რომ, სამონოპოლიო კომპანიის მენშევიკების მიერ უხეიროდ ჩატარების მიზეზით, ხალხმა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, სარგებლობის მაგივრად დიდი ზარალი ნახა. ამის გამო ხალხს სამერმისოდ გული აუცრუვდა ასეთ საქონლის დამზადებაზე; და ერის სიმდიდრემ საგრძნობლად იკლო.

ასეთი იყო ორიოდე სიტყვით მენშევიკების ეკონომიური საქმიანობა. იგი მეტად საზიანო იყო მშრომელ მასსებისთვის და სასარგებლო ვიწრო შეძლებულ ჯგუფებისთვის. საერთოდ კი მენშევიკების პოლიტიკას საფუძვლად ედვა თქმულება: სანამ ვარ, ვფლანგოთ, რაც არის, მერე კი თუ გინდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა. ასეც მოიქცნენ. მათი ხელგაშლილობას და ფლანგვას საზღვარი არ ჰქონდა: როცა თითქმის ყველაფერი გაათავეს, აიბარგნენ და წავიდნენ, წაიღეს რა თან საგზლად დარჩენილი სურსათი და განძეულობა. საქართველო კი დატოვეს ეკონომიურად დაშლილი და განადგურებული.

კან.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია კრუზენშტეინის ქ. № 4.

— **საქ კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი".

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **ს. ქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს" შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

საბჭოთა რუსეთში.

ნატურალურ გადასახადის შესახებ.

მოსკოვი, 27 მარტი, (რადიო). 24 მარტის სხდომაზე სახ. სას. კომ. კოლეგიამ მიიღო ორი ძირითადი დებულება გაცვლის შესახებ: დებულება სახელმწიფოსა და მცხოვრებთა შორის გაცვლის შესახებ და დებულება ადგილობრივ მეურნეობის წარმოების ფარგლებში გაცვლის შესახებ.

დებულება სახელმწიფოსა და მცხოვრებთა შორის გაცვლის შესახებ.

§ 1. სახელმწიფოს განკარგულებაში სოფლის მეურნეობისა და შინა მრეწველობის პროდუქტების მაქსიმალურ რაოდენობის შეკრების მიზნით, [illegible] თვე მცხოვრებთათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ფაბრიკა-ქარხნების და შინა მრეწველობის საგნების შეძენის საშუალებით, დაწესებულია გაცვლა ერთის მხრივ სახელმწიფოსა და მეორეს მხრივ ცალკე დაწესებულებების და კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის, რომლებსაც უფლება ეძლევათ პროდუქტების შეძენისა გ საყიდათ.

§ 2. სახელმწიფოს მხრივ გაცვლას აწარმოებს მხოლოდ სასურსათო ორგანოები; დანარჩენი სახელმწიფო დაწესებულებანი, მათ რიცხვში სამეურნეონიც, მიიღებენ მონაწილეობას ან სასურსათო ორგანოების საშუალებით ან კონტრ-აგენტების საშუალებით.

დღეს ნომერში:

საქ. რევკომის ცირკულიარი ადგილობრივ რევკომებისადმი, ხალხის ქონების თვითნებობითი განაწილებისა და გატაცებისაგან დაცვის შესახებ.

გერმანიაში მუშათა გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს.

იტალიაში პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე გაიმარჯვეს წითელ პროფ. კავშირების მომხრეებმა.

ბავშთა სიკვდილის შემთხვევები ევროპაში.

რუსეთი და ოსმალეთი.

მოსკოვი. 20 მარტი. (რადიო). ამხანაგ ჩიჩერინმა რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციაზე აღნიშნა მსოფლიო როლი და ისტორიული მნიშვნელობა განმათავისუფლებელ ომისა აღმოსავლეთის ერების მიერ, რომლებიც დაჩაგრულნი არიან ევროპის მატერიალიზმით „ბრძოლამ კაპიტალის წინააღმდეგ“, სთქვა ჩიჩერინმა, მიიღო რუსეთში კომუნისტურ რევოლიუციის ფორმა, რომლის წყალობით რუსეთის მშრომელმა მასსებმა დაიკავეს სახელმწიფო ადგილი იმ ხალხთა შორის, ვინც იბრძვის თავისი თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის. ყველა ქვეყნის მშრომელთა მსოფლიო რევოლიუციონურმა მოძრაობამ რუსეთის მშრომელ მასსებს შეაძლებინა შეენარჩუნებინათ თავისი დამოუკიდებლობა და რევოლიუციონური მონაპოვარნი და შეაძლებინა აგრეთვე ოსმალეთის მშრომელ მასსებს შეენარჩუნებინათ თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობა. ოსმალეთში ჯერ კიდევ არ მომწიფებულა კომუნისტურ რევოლიუციის მომენტი, მაგრამ ის ოსმალეთი, რომელთანაც რუსეთის მშრომელმა მასსებმა დაიჭირეს მეგობრული დამოკიდებულება, აღარ არის ძველი იმპერიალისტური ოსმალეთი, არამედ ოსმალეთი მუშათა, გლეხთა და ქალაქის ხელოსანთა, რომელთაც პირველად გამოარკვიეს თავის ბედი. ამ ახალ დემოკრატიულ ოსმალეთს, როგორც რევოლიუციონურ რუსეთს, უწერია მძიმე გამოცდილებანი, და თუ უკანასკნელ 6 თვეში ოსმალეთის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, ამაში ოსმალეთის მუშათა და გლეხთა გმირობასთან ერთად, შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე რუსეთსა და ოსმალეთს შორის მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელმაც უკანასკნელი გაამაგრა.

ამ სიტყვაზე ოსმალეთის წარმომადგენელმა იუსუფ-ქემალ ბეიმ უპასუხა და აღნიშნა, რომ ოსმალეთის ხალხი გაიტაცა რუსეთის ხალხის მაგალითმა, რომელიც მაღალი იდეალებით არის შეიარაღებული. ისტორიული პროცესის ძალით ეს ორი ხალხი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდის. ხელი, რომელსაც ოსმალეთის მშრომელნი უწვდიან, არის ხელი გულწრფელი მეგობრობისა. ოსმალეთის ყველა გზებს მიჰყავთ იგი რუსეთთან შეთანხმებისაკენ და იუსუფ-ქემალ-ბეი ითხოვს დაუჯერონ ოსმალეთის ხალხის გულწრფელობას და გულახდილობას, რომელმაც ერჩელ და სამუდამოთ კაპიტალისტურ ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების დროშა აღმართა. მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა გამოქვეყნებულ იქმნას შეთანხმება რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ერთობა ამ ორ ხალხთა შორის იქნება ძალა, რომელიც ყველა ხალხების თავისუფლების გარანტიას მოგვცემს.

საბჭოთა სომხეთში

მდგომარეობა სომხეთში.

გრუზტას თანამშრომელი ესაუბრა სომხეთის სამხედრო სახალხო კომ. მოადგილეს ამხ. ლაზიანს, რომელმაც სომხეთის საერთო მდგომარეობის შესახებ გადასცა შემდეგი: დაუსრულებელმა იროვნულმა ომებმა, რომლებსაც აწარმოებდა დაშნაკთა ბოროტმოქმედი მთავრობა, შექმნეს სომხეთში სრულიად კატასტროფიული მდგომარეობა. სომხეთი გაძარცვული და დამშეული ქვეყანაა... არ არის არც სურსათი, არც წარმოება და არც არავითარი ოდნავ წესიერად დაყენებული სახალხო მეურნეობა. საბჭოთა ხელის-უფლებმა, რომლებმაც შეცვალეს დაშნაკთა რეჟიმი, საშინელ მემკვიდრეობათ მიიღეს ასი ათასობით ლტოლვილნი, გაძარცული გლეხობა და დანგრეული წარმოება. მიუმატეთ ამას ბოროტი პოლიტიკა ბოროტმოქმედ მენშევიკების მთავრობისა, რომელიც არ უშვებდა არც ერთ მატარებელს სომხეთისკენ, რითაც უმართავდა ამ საცოდავ ქვეყანას სიმშილის ბლოკადას, საბჭოთა რუსეთი და აზერბაიჯანი ვერ ეშველებოდენ სომხეთს, რადგანაც სურსათის მისაწოდებელი ყველა ხეირიანი გზები მენშევიკების ხელში იყო. მაგრამ თვით სომხეთის ფარგლებშიაც სასურსათო ტრანზიტი დიდხანს ვერ მოეწყო, რადგანაც ყარაკლის ერევნის ხაზზე მატარებლების მისვლას ხელს უშლიდენ ქემალისტები და მხოლოდ დიდის შრომის შემდეგ დაწესდა ამ ხაზზე სამარშრუტო მატარებლების მოძრაობა.

მიუხედავათ ამისა, წითელი ლაშქარი, რომელიც იდგა სომხეთის ფარგლებში, მოითხოვდა საკვებს და სურსათს, რომლის მიწოდებაც ნაჩვენებ მიზეზების გამო დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მოსკოვის კონფერენცია და საქართველოს მომწიფებული რევოლიუცია იძლეოდა ამ მძიმე კრიზისის მალე გადაწყვეტის იმედს. საჭირო იყო ცოტა მოთმინება და ოსმალები წავიდნენ ალექსანდროპოლიდან და გზაც საქართველოთი იქნებოდა თავისუფალი. მაგრამ ხალხის მუდმივმა მტრებმა დაშნაკელებმა, ისარგებლეს რა წითელი ლაშქრის სომხეთიდან დროებით წამოსვლით [illegible] რის აჯანყებულთა დასამარცხებლათ, მოუსპეს საბჭოთა ხელისუფლებს ყოველი ცდის საშუალება და [illegible] ვიანთი მაუზერისტები საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ [illegible]. მათ [illegible] მათგან ბანდები და დაიჭირეს ერევანი. ძლივ თუ მოიპოვება ცოტათ თუ ბევრათ კეთილ მოაზროვნე სომეხი, თუ გინდ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილთა შორის, რომელიც არ ჩათვლის უაზრობათ დაშნაკელების ამ უკანასკნელ ავანტიურას, რომელიც არაფრით არ გამართლდება, და არ ჩათვლის მას სისხლიან დანაშაულათ სომხეთის ხალხის წინაშე.

მე ვრაცხ ჩემ მოვალეობათ ვსთქვა, რომ ჩვენ კატეგორიულად უარს ვყოფთ ვრაციანის პროვოკაციას, ვითომ დიდძალი სურსათი და სხვა საქონელი გაზიდულიყოს დამშეულ სომხეთიდან. არც წითელ ლაშქარს და არც საბჭოთა ხელის უფლებს არ გაუტანიათ არაფერი სომხეთიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამოდენიმე ყუთ შუსტოვის კონიაკს, რომელიც სომხეთის რევკომმა საჩუქრად გაუგზავნა აზერბეიჯანის დაჭრილ და ავათმყოფ მხედრებს. სახელმწიფო ქონების [illegible] პროფესიონალურმა მძარცველებმა, [illegible]ის-ამერიკის საქონლის სპეკულიანტებმა, რომელიც გამოგზავნილი იყო მშიერ ლტოლვილებისათვის, ტყუილ უბრალოთ ასტეხეს ლმუილი.

მათ ავიწყდებათ, რომ სომხეთის რევკომმა მიიღო მხოლოდ ნანგრევები. კომუნისტურ პარტიას მოუხდა გაძლიერებული საალმშენებლო მუშაობის წარმოება დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღსადგენათ.

აი, სახელდობრ ამით ისარგებლეს დაშნაკელებმა. საბჭოთა ხელის უფლებებს არ ეცალათ ეფიქრათ ვინ აპირებდა ჩაეცა ზურგში დანა საბჭოთა ხელის უფლებისათვის სომხეთში. მაგრამ ჩვენ საკმაო ძალები გვყავს, არ გვაშინებს არავითარი კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა ამიერ-კავკასიაში. ყოველი ცდა საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ აჯანყებისა, ულმობელად იქნება მოსპობილი. მაგრამ ჩვენ ვწუხვართ იმ მშრომელ ხალხისთვის, რომელიც შეიქნა დაშნაკების პროვოკაციის უდანაშაულო მსხვერპლი.

საკითხი ერევნის დაკავებისა, არის [illegible] 3 დღის საკითხი, მხოლოდ სისხლი მშრომელთა მასსისა, რომელიც დაიღვარა ამ ბრძოლაში, დეე იყოს უკანასკნელი მსხვერპლი, უკანასკნელ მძიმე დამტკიცებათ იმისა, რომ დაშნაკების პარტიიდან სომხეთის სინამდვილეში არ დარჩენილა არავითარი კვალი.

საზღვარ-გარეთ

მდგომარეობა ინგლისში.

ლონდონი. გაზეთი „მუშათა ბელადი“ სწერს: უმუშევართა უკანასკნელმა დემონსტრაციამ ლონდონში მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მუშებს სიარულზე ეტყობოდათ ფიზიკური დაღალვა. მანიფესტანტებს გაცვეთილი ტანისამოსი ეცვათ და მათ ემჩნევოდათ სასოწარკვეთილება. ამ დემონსტრაციამ დაასურათა ტრაგედია, რომელსაც განიცდის მილიონი ოჯახი ინგლისში. უმუშევართა საერთო რიცხვი უდრის 2 მილიონს, მათ შორის არა ნაკლებ ნახ. მილიონისა ქალია. მოშორებული დაზგებს მუშები ეხლა დაცემულნი არიან სულიერადაც და ჯანითაც. ისინი არიან მსხვერპლნი კაპიტალიზმისა.

მუშათა გამოსვლა შუა გერმანიაში.

მოსკოვი. 26 მარტი. (რადიო). შუა გერმანიაში გაფიცვა თანდათან მატულობს. გაფიცულია 22,000 მუშა. ზოგიერთ ქალაქებში მოხდა შეარაღებული მუშებისა და პოლიციის შორის შეტაკებები. გამბურგის მუშები მხარს უჭერენ აჯანყებულებს. გაფიცვას ხელს უწყობს აგრეთვე მთელი რიგი გერმანიის ქალაქების მუშებისა.

ბერლინი, 24 მარტი. საფრანგეთის სასამართლო შეუდგა იმ კომუნისტების საქმის განხილვას, რომელთაც ბრალდებათ კავშირი მე-3 ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან. კომუნისტებმა ისარგებლეს პირველსავე შემთხვევით თავიანთ იდეების გასავრცელებლათ და გამოაცხადეს, რომ ბურჟუაზიული სასამართლო ვერ გაასამართლებს კომუნისტებს, რომლებმაც უკვე დაუდგინეს განაჩენი ბურჟუაზიას. კომუნისტმა ბონატამ განაცხადა თავისი გულმხურვალე თანაგრძნობა ლენინისა და ტროცკისადმი. მრავალი სხდომა მოანდომეს ბრალდებულთა პონმუჩისა და ლორიონის გამოკითხვას, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური შეთქმულება და მეგობრული განწყობილება ცნობილ ფრანგ კომუნისტ გილბოსთან. თავმჯდომარის შეკითხვაზე ლარისმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება რუსეთის კომუნიზმის ყველა დოქტრინებს და მათი პროპაგანდა თავის მოვალეობათ მიაჩნია. რადგან ბრალდებულმა თითონ აღიარა თავისი სოლიდარობა ბოლშევიკებთან, თავმჯდომარემ დაკითხვა ზედმეტად ჩასთვალა.

პროლეტარიატის შეიარაღება

ბერლინი, 24 მარტი. პროფკავშირების უკანასკნელ სხდომის დროს ლივორნოში მისიანომ წარმოსთქვა დიდი საპროგრამო სიტყვა და გადაჭრით მოითხოვა პროლეტარიატის შეიარაღება პოლიტიკურ უფლების მოსაპოვებლად. მან უსაყვედურა პროფკავშირებს მეტისმეტად დამთმობი და გაუბედავი ტაქტიკა. რა წამს რკინისგზელები გამოაცხადებენ გაფიცვას, განაცხადა ორატორმა, აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ გავიყვანოთ მთელი პროლეტარიატი ქუჩაში. დასასრულ მიზიანომ ხაზი გაუსვა, რომ უთუოდ საბოტაჟი უნდა გაუკეთოთ კაპიტალისტურ წარმოებას.

ბავშვების სიკვდილის შემთხვევანი ევროპაში.

ბრიუსელი, ბელგიის გაზეთი „დეწელო“-ი იძლევა შემდეგ ცნობებს ევროპაში ბავშთა სიკვდილის შემთხვევების და დაუძლურების გახშირების შესახებ.

გერმანიაში ირიცხება მილიონზე მეტი ბავშვი შერყეული აგებულობით. ყოველდღიურად მომარაგების საზოგადოებიდან მცირედი სადილი ეძლევა 600,000 ბავშს. სიკვდილის შემთხვევანი ბავშთა შორის აღწევს 25%. უმთავრესი მიზეზი დასუსტებისა და სიკვდილის შემთხვევისა არის ქონისა და სხვა უსაჭიროეს საკვებ სურსათის უქონლობა.

ავსტრიაში ირიცხება 73% ბავშვამდე, რომლებისათვისაც არ არის უსაჭიროესი საკვები სურსათი. ნელი სიკვდილით შიმშილისაგან იხოცება ასი ათასი ბავშვი, უმთავრესად ზემო და ქვემო ავსტრიაში, ზალცბურგში და ტიროლში.

ესტონიაში ირიცხება 180 ათას ბავშვამდე 16 წლამდის, რომელთა ჩვეულებრივ საკვებს შეადგენს: დილით ყავა ურძეოთ, უშაქროთ და შავი პურის ნატეხით, სადილათ კარტოფილი და საღამოთი კარტოფილი.

უნგრეთში თითო კაცზე დღეში მოდის პური არა უმეტეს გირვანქის მეოთხედისა. 100 ათას ბავშვისაგან, რომლებიც დაიბადენ უნგრეთში 19—20 წელში, ნახევარი მათგანი ამავე წელში დაიხოცა შიმშილისა და ავათმყოფობისაგან.

პოლონეთში თავშესაფარებსა და ობოლთა სასახლეებში იმყოფებიან ნახევარ მილიონ ბავშვზე მეტი. პოლონეთ-ამერიკის დამხმარე კომიტეტი კვებავს ყოველდღე ღარიბთა ულუფით 750 ათასამდე ბავშვს. დაახლოვებით ამდენივე ბავშვი რჩება დაუხმარებლათ.

ამას გარდა ევროპაში იმყოფება ორ მილიონ ნახევრამდე რუსი გამოქცეული, რომელთა ბავშვებიც თითქმის მათხოვრობენ. ეს გამოქცეულები უმთავრესად გაფანტული არიან გერმანიაში, პოლონეთში, საფრანგეთში და ოსმალეთის ევროპის ნაწილში.

ხალხის მასათა გარევოლიუციონერება.

ლივორნო. 20 მარტი. პროფკავშირთა ყრილობაზე ლივორნში კომუნისტურ პარტიის სახელით გამოვიდნენ რეკოსტი და ტასკა, რომელნიც ამტყუნებდნენ მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მოქმედების გეგმის უქონლობაში და აგრეთვე იმაში, რომ მათ არ გაარევოლიუციონერეს ის ხალხის მასსები, რომლებიც შევიდნენ მათში ომის შემდეგ. დაახასიათეს რა იტალიის ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, კომუნისტებმა მოუწოდეს პროფესიონალურ მომუშავეთ ჩაიგდონ ხელში პოლიტიკური ხელისუფლება, რადგანაც ეს ერთად ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია იტალიის პროლეტარიატი არსებულ მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

კამათის შემდეგ 1.334 226 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 418.245 ხმისა მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: შედგენილ იქმნას წითელი პროფკავშირები. კომუნისტები მოითხოვდნენ მოსკოვის ინტერნაციონალთან აუცილებლად შეერთებას და ამსტერდამის ინტერნაციონალიდან დაუყოვნებლივ გამოსვლას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 3.

საქართველოს ს, ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ქ. ბათომსა და ფოთში საქონლისა და მასალების აღრიცხვის და შესყიდვის შესახებ.

ყველა იმ საქონლისა, მასალებისა და პროდუქტების სწორი აღრიცხვისა და განაწილებისათვის, რომელიც არის ქ. ბათომსა და ფოთში, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევკომმა დაადგინა:

საგარეო ვაჭრობის და სასურსათო სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებისაგან შესდგეს კომისია საგანგებო უფლებებით, რომელსაც დაევალოს.

1) აღრიცხვა და შესყიდვა საქონლისა, მასალებისა და სხვაგვარი ქონებისა, რომელიც არის ბათომსა და ფოთში სატრანსპორტო საზოგადოებათა, ბანკებისა, რკინისგზათა, საბაჟოებისა და სხვა მთავრობის და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საწყობებში, ნავდათ მოვაჭრე და სხვა მაღაზიებში ყველგან [illegible] კი არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი და ვისაც კი არ უნდა ეკუთვნოდნენ, მიუხედავათ პატრონის ქვეშევრდომობისა და საიდანაც არის იგი შემოტანილი, აგრეთვე აღრიცხვა და მიღება ყველა იმ საქონლისა და პროდუქტებისა, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს ყოფილ მთავრობის სამინისტროებს, ორგანიზაციებს და სხვა დაწესებულებათ.

2) განაწილება და გადაგზავნა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელზე მთელი შესყიდული ანუ სხვა გზით შეძენილი საქონლისა და მასალებისა.

3) ყველა ორგანიზაციებს, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებს, რკინის გზის უწყებას, ადგილობრივ ოლქის და სხვა რევკომებს წინადადება ეძლევა რიგს გარეშე დახმარება გაუწიონ აღნიშნულ კომისიას მის მუშაობისა, მოძრაობისა და უწყებებთან ურთიერთ დამოკიდებულების დროს.

4. კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნის ამხ. მალაქია ტოროშელიძე, მის მოადგილე გერმანე მგალობლიშვილი, [illegible]ლი, შტერნი, კაფიევი და თალაკვაძე,

რევკომის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**,
რევკომის მდივანი [illegible]

განცხადება.

შრომის კომისარიატის საკონფლიქტო განყოფილება ამით აცხადებს საყურადღებოთ იმ პირთა, დაწესებულებათა და სამრეწველოთა, რომელთაც ყოფილ მომრიგებელ კამერაში ჰქონდათ გასარჩევი კონფლიქტები და დარჩა განუხილველი საბჭოთა მთავრობის შედგენის მომენტამდე, რომ ეს კონფლიქტები ჩაითვლებიან მოსპობილათ, თუ რომ მათ განხილვის შესახებ არ იქნება შემოტანილი დაინტერესებულ პირთა მიერ სათანადო განცხადება არა უგვიანეს 5 აპრილისა.

ყველა საგუბერნიო, სამაზრო და სათემო რევკომებს. ცირკულიარი საქართველოს რევკომისა მისივე ბრძანების № 16-ს განვითარებისათვის.

მიიღო-რა მხედველობაში ჩვენი ქვეყნის მშრომელი გლეხკაცობის არსებითი ინტერესები, საქართველოს რევკომმა თავისი ბრძანებით № 16 ამა 1921 წ. მარტის 14-ს თარიღით დაავალა ყველა ადგილობრივ რევკომებს დაუყონებლივ, ვიდრე საგანგებო კანონები გამოიცემოდეს, სასტიკი ზომები მიეღო ყველა იმ უძრავ მოძრავი ქონებისა, მანქანებისა და სამეურნეო იარაღების თვითნებობითი განაწილებისა და გატაცებისაგან დასაცავად, რომელიც ყოფილ მთავრობის ან მემამულეთა განკარგულებაში იმყოფება.

მიუხედავად ასეთი ბრძანებისა, საქართველოს რევკომს განუწყვეტლივ მოსდის ცნობები ადგილობრივ მცხოვრებთა და ზოგიერთ ორგანიზაციათა მიერ ანარქიულ მოქმედების შესახებ, რომელიც მიმართულია ზემოხსენებული მშრომელი ხალხის ქონებისა და სიმდიდრის განადგურებისაკენ.

ამიტომ უკანასკნელად გეძლევათ წინადადება თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღოთ უსასტიკესი და გადამჭრელი ზომები: 1) რათა გატაცებული ქონება დაბრუნებულ, აღდგენილ იქნეს და დამნაშავენი პასუხისგებაში მიცემულნი და 2) დაუნდობლად ძირშივე მოსპობილ იქნეს ზემოაღნიშნული ანარქიული მოქმედება, ხალხის სიმდიდრის დაცვისა და შენახვის საქმეში.

ყველა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც დაუდევრობასა ან ნაკლებ სიმტკიცეს გამოიჩენს ამ ბრძანების ასრულებაში, და აგრეთვე ყველა, ვინც პირადად მონაწილეობას მიიღებს ხალხის ქონების გატაცებაში, მიცემულ იქნება უსასტიკეს პასუხისგებაში, როგორც მოღალატე ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლებისა. ნრ. 59 28—3—2.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე **მახარაძე**.

ქრონიკა

სოფლის მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. სოფ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო განყოფილებამ თხოვნით მიმართა მიწათ-მოქმედების სახ. კომის. მისცეს დაწვრილებითი ცნობები იმ მოსაჭრელ ტყეების შესახებ, რომლებითაც გასულ წელს უსარგებლიათ და წელს შესაძლებელია მათი გაჩეხის ნებართვა.

— უმაღლეს სახალხო მეურნეობის სამთო განყოფილების განკარგულებაში გადავიდა შემდეგი წარმოებანი: ტყვიბულის ქვანახშირის, გელათის და ბზიბის მაღაროები, ჭიათურის საექსპლოატაციო შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება, შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭო, ალავერდის ქარხანა მლაუბერის მარილის მუხროვანის ქარხანა, ცეცხლის მძლე თიხის ქარხანა „შრომა“, და ფხოველის ნავთის სამრეწველო.

◆ **პროდუქტების მიღება.** 30 მარტიდან ქალ. სასურ. კომიტ. შეუდგება ბრინჯის, ჩაის, ასანთის და მარილის დარიგებას. დარიგება მოხდება შემდეგი წესით: პროდუქტები მიეცემა მხოლოდ ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოადგენენ მუშათა მაგიდის მანდატებს. ყოველდღიურათ დაკმაყოფილებული იქნება ჯგუფი. პროდუქტები ეძლევათ შემდეგი რაოდენობით: ბრინჯი 1 გირ. სულზე, ფასი 35 მან., ჩაი 1/8 გირ. სულზე—150 მან. გირ., ასანთი 2 კოლოფი სულზე, 2 მან. კოლოფი და მარილი 2 გირვ. სულზე.

◆ **შრომის სახალხო კომისარიატში.** შრომის სახალხო კომისარიატი იმყოფე-

ა მუშათა სასახლეში. კომისარიატში 4 ანყოფილებაა: საკონფლიქტო, რომე- იც სწყვეტს მომხდარ უთანხმოებას უშ თა და მწარმოებელთა შორის, გან- ოფილება შრომის დაცვისა—სატარი- ო პალატის სამაგიერო, განყოფილება ლთა განაწილების, აღწერისა და ინსტრუქტორო საინფორმაციო განყო- ილება.

◆ **რევკომის ინფორმბიურო.** საქარ- ველოს რევკომთან დაარსდა საინფორ- აციო ბიურო, რომელსაც ყველა საზო- ადოებრივმა და სახელმწიფო საბჭოთა რგანიზაციებმა ორ დღეში ერთხელ ნდა გაუგზავნონ მოკლე ანგარიში თა- ს მოქმედება და ყველა პრინციპია- ურ საკითხებზე, ხოლო კვირაში ერთ- ელ სხვა ყველა დანარჩენ საკითხების ესახებ, საინფორმაციო ბიურო აგ- ეთვე ისახავს მიზნად მოაწყოს ძალიან ართო საურთიერთო ინფორმაცია სა- ართველოსი, აზერბაიჯანის, სომხეთის ა აფხაზეთის რევკომებისა. საინფორ- აციო ბიუროს ხელში იქნება მიღება აზღვარ-გარეთის გაზეთების და აგრეთ- ე მიღება ინფორმაციისა მოსკოვიდან ელეგრაფით, რ დიოთი და ფოსტით. იურო მოთავსებულია სასახლეში, ოთა- № 10.

◆ **მუშათა მაგიდის დადგენილების აუქმება.** სასურსათო სახალხო კომი- არიატის კოლეგიამ განიხილა მუშათა აგიდის განცხადება, რომ პური და ხვა სურსათი მარტო საბჭოთა-დაწესე- ულებათა მუშა-მოსამსახურეს მიეცემათ, აადგინა, წინადადება მიეცეს ქალაქის ასურსათო კომიტეტს გააუქმოს ეს გან- ცხადება.

◆ **ბოსტნების გაკეთება.** ქალაქის ასურსათო კომიტეტმა მიმართა საქარ- ველოს რევკომს თხოვნით მიწათ-მოქ- ედების სახალხო კომისარიატის შემ- ეობით გადასცეს ქალაქის კომიტეტის აჭიროებისათვის 100 დესიატინა მიწა ორჩალოს მაზრაში და ასი დესეტინა იწა გორის მაზრაში ბოსტნებისთვის, აიდანაც სურსათი ქ. თბილისის მშრო- ელთა საჭიროებას მიხმარდება.

◆ **შრომის დაცვა.** შრომის სა- ალხო კომისარიატთან დაიწყო მოქმე- ება შრომის დაცვის განყოფილებამ. შრომის დაცვის კოლეგია აცხადებს, რომ შრომის დაცვის საორგანიზაციო აკითხების შესახებ ყოველივე განცხა- ებით უნდა მიმართონ შრომის სახალ- ო კომისარიატთან არსებულ განყოფი- ლებას შემდეგი მისამართით: პარი ტი- ნისა და რუსთაველის პრ. კუთხე — ყოფილი ევროპა-კავკასიის ბანკი.

◆ **კავკასიის ელექტროფიკაცია.** 27 მარტს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. დუნტაუს თავმჯდომარეობით მოხდა ინჟინერთა კრება. საგანი კრებისა იყო კავკასიის ელექტროფიკაცია. ამხ. დუნტაუმ თავის სიტყვაში აღნიშნა დიდი მნიშვნელობა მაგარ სათბობის შეცვლისა თეთრი ნახშირით. საბჭოთა რუსეთშიო, სთქვა ამხ. დუნტაუმ, კავკასია მიაჩნიათ დიდძალი ელექტრონის ენერგიის მიღების წყაროთ. დუნტაუს სიტყვის შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა თეთრი ნახშირის შესახებ ინჟინერმა ზაალიშვილმა. სხდომაზე დადგენილია დაარსდეს კავკასიის კომიტეტი ელექტროფიკაციის საქმისა. კომიტეტის დებულების შედგენა მიენდო კომისიას, რომელშიაც შედიან: პროფ. ლუკინი, ინჟ. ზაალიშვილი და ხუდადოვი.

◆ **ქალაქის სანიტარია.** თბილისის ქალაქის რევკომმა გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება: ყველა სანიტარული სავალდებულო დადგენილებანი ძალაში რჩება, საბინაო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ სასტიკი პასუხისმგებლობით ადევნონ თვალი ეზოებსა და მათ გვერდზე მდებარე ქუჩების სისუფთავეს და ნაგვისა და უწმინდუროების გამოტანას. ხარჯი გაიღება ბინების ქირიდგან და თუ ეს ფული არ ეყო, დანარჩენი ხარჯი განაწილდება მდგმურების შორის.

◆ **იტალიის რადიო-სადგური.** იტალიის მისიის რადიო-სადგური თითქმის შეკეთებულია. 28 მარტს მიღებულია რამოდენიმე ცნობა. მათ შორის იმის შესახებ, რომ ჯიოლიტი და ასვენებლათ წავიდა რომში. მახლობელ დღეებში რადიო-სადგური სრულიათ შეკეთებული იქნება. ბიულეტენები რიგზე მიეცემა პრესსას.

◆ **მიმოსვლა ბაქო-ბათომ შუა.** მახლობელ დღეებში დამთავრდება მოლაპარაკება საქართველოს და აზერბაიჯანის რკინის გზების სამმართველოების შორის და აღდგენილ იქნება პირდაპირი სამგზავრო მოძრაობა ბაქო-ბათომ შორის.

◆ **დღეს**, 30 მარტს, დღის 2 საათზე დანიშნულია მე 4—5 რაიონის საბჭოს კრება. ტეკას წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას რაიონების მომავალ მუშაობის შესახებ. დასწრება აუცილებელია. **პრეზიდიუმი.**

◆ **რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობა საქართველოში.** რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკი დროებით წარმომადგენლათ იმყოფება ამხ. ორჯონიკიძე, მდივნათ ამხ. იურიევიჩი.

◆ **ამხ. გუსეინოვის წასვლა.** აზერბაიჯანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა კომისარი და დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანის რესპუბლიკისა საქართველოში ამხ. გუსეინოვი ბათომში გაემგზავრა.

ხელოვნება

ქართული კლუბი.

განათლების სახალხო კომისიის განკარგულებით ქართული კლუბი მთელი თავისი ქონებით გადაეცემა მასწავლებელთა პროფკავშირს. კლუბს დაერქმევა მასწავლებელთა სახლი, სადაც გაიმართება უფასო ლექციები, მიტინგები, წარმოდგენები და სხვა.

სახალხო სახლი.

სახალხო სახლთან არსებულ მუსიკალურ სექციას აზრათ აქვს ახლო დღეებში დასდგას ფაუსტი და ევგენი ონეგინი.

რევოლიუცია და ხელოვნება.

27 მარტს მეორე სახალხო აუდიტორიაში (ყოფილი მეორე ქართული კლუბი) პოეტმა პაოლო იაშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „რევოლიუცია და ხელოვნება“. მომხსენებელმა აღნიშნა ხელოვნების და რევოლიუციის ეტაპები და ხაზი გაუსვა იმას, რომ ხელოვნება ყოველთვის წინ უძღვის რევოლიუციას. დიდებული მწერლები წინასწარ გამოიცნობდნენ ხოლმე ახალ გზებს. დოსტოევსკი და სხვა წინასწარ გრძნობდნენ დიდ რუსეთის რევოლიუციას. დიდებული კომპოზიტორი სკრიაბინი უნდა ჩაითვალოს რუსეთის რევოლიუციის წინასწარმეტყველათ. აზრი, რომ ხელოვნება ცხოვრებას უკან რჩება, არაა მართალი: იგი წინასწარ აღტაცებას აძლევს ცხოვრებას და მაგრა უჭირავს თავისი დროშა, პოეზიასთან ახლოა და მისთვის გასაგებია მსოფლიო პროლეტარიატის მისწრაფებანი, მისი მიზნები და დანიშნულებანი. ქართველი პოეტები ყოველთვის ადგნენ რევოლიუციის გზაზე, ყოველთვის ისწრაფოდნენ, შეენარჩუნებინათ ეროვნული კულტურის კუთვნილებანი იმ აზრით, რომ მასსები ამ კულტურას ეზიარებია. ქართველი მწერლები მიისწრაფოდნენ შეექნათ განუწყვეტელი კავშირი ხალხთან და ეს კავშირი სწორედ ეხლა შეიძლება შევქმნათ. ქართული პოეზია მთლიანათ იღებს ლოზუნგს:—ხელოვნება მასსებისკენ, ოთახიდან ქუჩებში, ამაშია მომავალი ხელოვნების უმთავრესი მიზანი. ამ გვარად ხელოვნება ითანამგზავრებს რევოლიუციასთან ერთად და იქნება საგანძო, რომლის სადარაჯოზედაც ყოველთვის ცდილობდნენ მდგარიყვნენ ქართველი პოეტები, რომლებიც მიისწრაფოდნენ შეენახათ რევოლიუციის ყველა მონაპოვარნი. შემდეგ ამხ. ილია ნაკაშიძე გამოვიდა მოხსენებით სახალხო აუდიტორიის მნიშვნელობაზე. მოხსენების შემდეგ გამართულ იქმნა სალიტერატურო ვოკალური განყოფილება, რომელშიაც გამოვიდნენ სახელმწიფო ოპერის მსახიობნი და ქართველი მწერლები. საღამომ ძალიან კარგათ ჩაიარა.

სიმფონიური კონცერტი.

მე 11 ლაშქრის პოლიტიკურ განყოფილების წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა სახელმწიფო ოპერის თეატრის კომისარს სიმფონიურ კონცერტების გამართვის შესახებ ორშაბათობით ოპერის წარმოდგენისაგან თავისუფალ დღეებში განსაკუთრებით წითელ ლაშქრელთათვის. თეატრის კომისარი ნ. გ. ქართველიშვილი პრინციპიალურათ დათანხმდა, მხოლოდ არ დაადასტურა სიმფონიურ კონცერტების რაოდენობა, რადგანაც ამ მიმართულებით მუდმივი მუშაობა დაარღვევს სახელმწიფო საოპერო ორკესტრის წესიერათ მუშაობას.

სიმფონიურ კონცერტების საკითხი ფართო ხალხთა მასებისათვის უკვე გამომუშავებულია სახელმწიფო თეატრის გამგეობის მიერ. განზრახულია ამ კონცერტებში საუკეთესო სამუსიკო ძალების მოწვევა.

ამ დღეებში სახელმწიფო ოპერის სცენაზე დაიდგმება კლასიკური ოპერეტა „ფრინველების გამყიდველი“, ნ. გ. სევერსკის მონაწილეობით შემდეგ დაიდგმება „მგალობელი ჩიტები.“

ხელოვნების მოღვაწეთა უზრუნველყოფა.

საქართველოს რევკომს, აზრად აქვს რა მატერიალურად უზრუნველჰყოს ხელოვნების, კულტურის და განათლების ყველა მოღვაწენი, წინადადებას იძლევა გამომუშავებულ იქმნას სათანადო დეკრეტი, რათა მატერიალურად უზრუნველყოფილ იქმნენ ხელოვნების ყველა მოღვაწენი. პირველი აქტი მხატვართა, მსახიობთა და ლიტერატორთა მატერიალურად უზრუნველყოფისა არის დადგენილება, რომლითაც ქართული სცენის დამსახურებულ მსახიობს ვასო აბაშიძეს უნდა მიეცეს დახმარების სახით 100,000 მან.

მსახიობთა დაბრუნება.

რევკომის განკარგულების თანახმად სამხედრო სამსახურში გაწვეული მსახიობნი დაბრუნებულ იქნებიან თეატრებში. ამ დრომდის კი ისინი მიიღებენ ჯამაგირს და ულუფას, როგორც დანარჩენი მსახიობნი.

საგიტაციო სამხატვრო გამოფენა.

მხატვარმა მ. თოიძემ რევკომში წარადგინა ავტომობილებზე მოძრავ საგიტაციო სამხატვრო გამოფენის ორგანიზაციის პროექტი.

სახალხო აუდიტორია.

მე-2-ე ქართული კლუბი გადაკეთდა სახალხო აუდიტორიად, რომელიც უნდა განაგონ საქართველოს ხელოვნების კავშირის მოღვაწეებმა.

პარტიული ცხოვრება

ბათომიდან ჩამოსულ ციხიდან განთავისუფლებულ კომუნისტების კრება.

პარასკევს, 25 მარტს, თფილისის ყოფილ თვითმართველობის დარბაზში საღამოთი შესდგა ბათომიდან ჩამოსულ ციხიდან განთავისუფლებულ კომუნისტების კრება.

კრების მიზანი იყო, მოესმინათ ინფორმაცია იმის შესახებ, რაც გაკეთდა, მასთან მოხსენება მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე და ეკონომიურ პერსპექტივებზე. დაპირებისამებრ მომხსენებლათ უნდა გამოსულიყვნენ — როგორც პარტიის პასუხისმგებელ ამხანაგებისგან, ისე რესპუბლიკის მთავრობისგან, —ამხ. ს. ორჯონიკიძე და ამაიკ ნაზარეტიანი. დარბაზი სავსე იყო კომუნისტებით. კრებას დაესწრო კ. პ. ც. კომიტეტიდან ამხ. ლ. დუმბაძე; თფილისის კომიტეტი კ. პარტიისა და თფილისის რევკომი მთლიანად დაესწრენ.

კრება გაიხსნა.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გ. გოგიტიშვილი, მდივნათ ამხ. ქურიძე.

აქ თავმჯდომარემ მოკლეთ გააცნო კრებას შეკრების მიზანი.

ამხ. ს. ორჯონიკიძე და ამხ. ნაზარეტიანი არ იყვნენ ჯერ კიდევ მოსულნი; როგორც გამოირკვა მოსვლის იმედი

მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან.

(დასასრული*)

სტუმარ მასპინძელი

სწორედ იმ საღამოს, რა საღამოსაც მე და შაქრო წნორიდან ამოვედით, დუქანში გადმოგვცეს, რომ ჩვენსა ეს რამდენიმე დღეა რაც სტუმარი ჩამოხტარიყო.

— ეგ ვიცი, სხვა ახალი არაფერი არ მომხდარა ჩვენ სახლში?—შეეკითხა შაქრო ამბის მომტანს.

— აბა სხვა რაღა უნდა მომხდარიყო? მარტო ეს მოხდა.

— მაშ კარგი, სანთელი წაიღე და წადი სახლში. უთხარ ერთი წყვილი სუფთა წინდები გამოგვატანონ და ილიკოც ამოვათქო, გაიგე? არ დაგავიწყდეს.

— იე! რა დამავიწყებს?—ბურტყუნით გაიხურა კარი მოჯამაგირემ.

— აუ, აუ, ავ, ავ! ავკანკანდი სიცივისაგან.

— რა იყო, კაცო! რომ შეგაცია ეგრე! დამჭყივლა შაქრომ.

— შენ რა გაძაგძაგებს, რა! არხეინათ ჩექმა-კალოშით, შინელ ყაბალახით ცხენით მობრძანდებოდი!—ხუმრობით უსაყვედურე ნათესავს—აბა აქ შემოხედე, აბა აქ მიყურე? ქუსლებიდან ქამრამდის ლაფში ვარ ჩაფლული.

— არა უშავს, გაგიშრება, თავი ნუ გიკვდება! შრომა უნდა აიტანე, მა როგორ გინდა?

— არ ვიცი ძმაო, თუ მე ამას გადურჩი, თუ ამ სიცივეში ოთხი საათით ცივ წყალში ჯდომა შემრჩა, კიდევ მადლობა ღმერთს, ბევრი შემძლებია, რაც მართალია, მართალია!

— ბიჭოს! შენ კახელი არა ხარ? იცი ჩვენ რა ჯანმაგრები ვართ? ჯორი არ გვაჯობებს აი, ჯორი! განა ტყუილად გვეძახიან, ქიზიყელო ჯორო! ეს მართალია განა!—ჩაარაკრაკა სიცილით შაქრომ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ ამაღამ იმ სტუმართან ვინა გყავს?

— იორამი იქ არ არის? ვინ უნდა მყვანდეს.

— რუსული რომ არ იცის?

— ისწავლის, ნუ გეშინიან. ახში ერთმანეთს მიუხვდებიან...

შაქრო კაი გუნებაზე იყო, მეც არა მიჭირდა-რა რახან პატარა მოვთბი, მაგრამ, თუ ეს ფეჩი ილბლად ანთებული არ დაგვხვედრიყო, თქვენ მტერს როგორც მე გავშეშდებოდი. ეხლა კი არა მიჭირდა-რა. ფეხები მოვითბე, შარვალი გავიშრე, [illegible] და ამასობაში კარგაც ვიყბედეთ.

მოჯამაგირეც მოვიდა, წინდები გამოვიცვალე, შევეხვიე ნაბადში და გავწიე დასაძინებლად.

— ღამე მშვიდობისა შაქრო!

— ძილინებისა, ძილინებისა! აბა თქვენ იცით სტუმარს როგორც მოალხენთ, მეც დილაზე მოვალ.

შაქრო და იორამი ძმები არიან. ძველი დროის ხალხნი, ძველი ქართველები ამ სოფელში ამათ კიდევა ჰყავთ ძმები, მაგრამ ისინი როგორღაც ვერ შეეწყნენ ამათ, ჩამოშორდნენ და ცალცალკე დაიწყეს ცხოვრება.

შაქრო და იორამი კი ერთმანეთს შეაბერდნენ, ერთმანეთს დაეღუნენ.

ჭირში, თუ ლხინში, გარეთ, თუ შიგნით ერთათა სწევდნენ ეს ძმებ უღელს, ერთად ებრძოდნენ ცხოვრების ძალას.

ღარიბ გლეხი კაცის ოჯახში, დაბადებულნი ბავშვობიდანვე მოჯამაგირობაში ატარებდნენ თავიანთ ახ[illegible]რდობას ს ძმები.

— ხაზეინს რომ არ დევენახე, ქვევრში ვჯ ებოდი და წერა-კითხვას იქა ვწაულობდით!—თუ მეხსიერება არ მატყუებს, ესე მიამბო ერთხელ იორამმა.

აქედან დაწყებული შრომა-ჯაფით, დღის და ღამის გასწორებით ამ ძმებს ცოტაოდენი სარჩო საცხოვრებელი შეუძენიათ. აქვთ ვენახი, სათესი მინდორი, სახლი და კარი, მხოლოდ რაკი იორამს დუქანში მიჩვეულა ჯდომას, თავიდავნე ერთი დუქანიც აუშენებიათ და დამჯდარა შიგ.

შაქრო და იორამს არა მარტო სიღნაღის მაზრა იცნობს კარგად, არამედ გაცილებით უფრო შორს აქვთ მათ გავარდნილი პატიოსნების, სტუმართმოყვარეობის და შრომის მოყვარეობის სახელი, ვერც ერთი ადამიანი, თუ იგი ავი არ არის, ცუდს ვერას იტყვის ამ ამ ორთა ძმაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ ისევ შარშან წინ, როდესაც თბილისში სკუმბრია ღირდა 30 50 მ., იორამა ანაგაში 70 კაპ. ჰყიდდა.

— რა შვები იორამ, ეგრე როგორ იქნება? სხვა ამ ფასებში ჰყიდის და შენ კი უფასოთ არიგებ, განა ხვალ კიდეც იშოვი ძველ ფასებში?—ეუბნებოდა ხოლმე მუშტარი ყიდვის დროს.

— რა ვიცი, მე როგორც მიყიდია იმაზე ერთი აბაზი უნდა მოვიგო, ეხლა ხომ არ ვიყიდე, ძველი ნაყიდია. ახლა თუ ძვირად მომყიდიან, მეც ძვირად გავყიდი—დარბაისლური ღიმილით უპასუხებდა ხოლმე ძველი ქართველი და სრულებით ძალდაუტანებლად ამჟღავნებდა ხოლმე ქართველი ერის უნიჭო კომერსანტობას.

იორამმა იყო მაღალ-მაღალი, წვრილწვრილი ხანში შესული ადამიანი, [illegible] ზი, მსხვილი თვალის კაკლები ე[illegible] ლებოდა ხშირი წარბებით, ულვაშებ[illegible] ე ესევე თეთრი, ხშირი სქლად დავარ[illegible] გ პარსულ ნიკაპზე წვერებით დაჯ[illegible]ბილი. სახე უბრწყინავდა თეთრად, კეთილად და დამახასიათებლად. ეცვა ღილებიანი ახალოხი, ზევიდან გრძელი ტყაპუჭი, შავი ბატკნის საყელოთი. ასეთივე ბატკნის ძველი ქუდი თავადურათ ჩაკეცილი. უკიდურეს ემოციების დროს: სიცილში, თუ სიბრაზეში მალ-მალ უყვარდა ტყაპუჭის საყელოზე ხელების დასმა. ღვინოს ვერ იტანდა, არ სვამდა. საჭმელებშიაც და ხილშიც ეტანებოდა მხოლოდ საყვარელ მისართმევებს. სი[illegible]ული საშინლად ეჯავრებოდა. სიკვდილი იყო მისთვის დუქნის თავის დანებება, უყვარდა ეგრეთვე ოჯახი. ცოლს არ აწყენინებდა, შვილებს არას დააკლებდა.

სახლში რომ მიველ, უკვე ათი საათი იქნებოდა. წინა ოთახში ფანჯრიდან მოსჩანდა დამზადებული საწოლი, ამასთან ახლოს სავახშმო მაგიდა, რომლის თავშიც და ბოლოშიც სტუმარ მასპინძელი ვახშამს შეექცეოდნენ.

სტუმარს წიგნიც ეჭირა ხელში და ცალი თვალით შიგ იჭყიტებოდა, მასპინძელს კი ტყაპუჭის სახელოზე მაგრა ჩაებღუჯა ორთავე ხელი, გადაწოლილიყო სკამის მისაყუდზე და ისე შესცქეროდა თავის სტუმარს.

მე მალე შევტრიალდი ჩემ ოთახში, გამოველ და ჩაუკაკუნე კარები იორამს.

იორამა წამოხტა, გაიღო კარი და მიმიყვანა სტუმრის გასაცნობად.

— მადლობა ღმერთს!—წამოსცდა სტუმარს, როდესაც გაიგო, რომ რუსული ენა ჩემთვის უცხო ენა არ იყო—ეხლა გვეღირსება ჩვენ ერთმანეთის გაგება.

— აქამდის როგორ ლაპარაკობდით?

— მუნჯურათ. გადიხარხარა უცხო-[illegible]

— [illegible] ამბობს კაცო? რას გველაპარაკება? [illegible] მუჯლუგუნი იორამმა.

[illegible] უხერხულ მდგომარეობაში [illegible] ვლაპარაკებოდი, მასპინძელი მთხოვდა გადამეთარგმნა, მასპინძელს ველაპარაკებოდი, სტუმარი მთხოვდა. ვიჯექ შუაში ტელეფონის აპარატივით და ხან ერთს მიუშვერდი ყურს ჩასაძახებლად და ხან მეორეს ჩავძახებდი გასაგონად.

აი რას ლაპარაკობდნენ ჩემ მართულებზე:

— თქვენ სადაური ბრძანდებით?

— ეკითხებოდა მასპინძელი—გყავთ ცოლი, შვილი ან რამდენი ხანია აღარ გინახავთ? უმითოდ როგორა სძლებთ?

— მე მალოროსი გახლავართ, კიევიდან. ეს სამი წელიწადია, რაც ცოლშვილი დავტოვე ღვთის ანაბარად და წამოველ საბრძოლველად. ომში კიდევ ბევრი რამ დავკარგე, ჯანმრთელ ბა, მაგრამ მე მზათა ვარ ამ წმიდა საქმეს კიდევ მრავალი მსხვერპლი სხვა მოუტანო.

— ჩვენი კუთხე როგორ მოგწონთ?

— საუცხოვოა, მშვენიერია, ხალხიც განათლებული და კეთილშობილია, მხოლოდ არ მომწონს, რომ ესე ღარიბია. ამ ბუნების სიმდიდრეს ხალხის ეკონომიური სიმდიდრეც უნდა წარმოეშვა, მაგრამ ეს თქვენი მცირე რიცხოვანი ერის ბრალი არ არის. აქ ბრალი უძღვით თქვენ მთავრობებს, რუსეთის იმპერატორებს და სხვა ამ გვარ ხალხის „მფარველებს“. მაგრამ რაც იყო, იყო. ეხლა ისინი ჩვენ დავივიწყოთ, შევერთდეთ ძმურად და შეერთებული ძალით მხნედ და ამაყად გავწიოთ წინ, ახალ ცხოვრებისაკენ.

ამ სიტყვებზე იორამმა წამოავლო ჭიქას ხელი და წარმოსთქვა სადღეგრძელო.

— ამხანაგო ანდრეი—ეს ეძახდა თავის სტუმარს—ეს ღმერთმა აღლეგრძელოს ჩვენი ახალი ცხოვრება და მისი ერთგულნი [illegible].

— Аминь, аминь!—მიუგდა სტუმარი სადღეგრძელოს.

---

* იხილე წინა ნომრების 17, 18, 19, 20 და 22.

არც იყო; სხვადასხვა გადაუდებელ საქმეებს მათთვის არ მიეცა დრო მოხსენების გასაკეთებლათ. აქ მათ ნაცვლათ გამოვიდა „პრავდა გრუზიის" რედაქტორი ამხ. ვასილიევი. მან პირველადვე აღნიშნა, რომ მომზადებული არ ჰქონდა თემა, და მის გამოსვლას, მის მოხსენებას ექნება მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი.

ამხ. ვასილიევის ინფორმაციული ხასიათის მოხსენება შინაარსიანი გამოდგა. მან გააცნო ვრცლათ კრებას თუ რა გაკეთდა მსოფლიო პროლეტარიატისათვის სამაგალითოდ რუსეთში, როგორც შინაურ-გარეულ მდგომარეობის პოლიტიკურად განმტკიცების. ისე მის ეკონომიურ აღორძინების მხრივ დი აგრეთვე ის ბრწყინვალე პერსპექტივები მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისა, რომელიც შემოაცლის პროლეტარულ რუსეთს ირგვლივ შემორტყმულ მოუსვენარ მტრებს და გააშლევინებს რკინის სალტეებში ჩაჭერილი შემოქმედების ფრთებს.

შემდეგ აქ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლ. გოგიბერიძე, რომელმაც ვრცლათ ილაპარაკა თფილისის რევკომის სახელით. მან აღნიშნა რევკომის მოღვაწეობა ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში თუ რა გაკეთდა მათ მიერ თფილისის მშრომელი კლასის სასარგებლოთ, და შემდეგ გააცნო კრებას რევკომის გეგმები, რომლებიც ახლო მომავალში უნდა უზრუნველჰყონ დაჩაგრებულ თფილისის მუშები როგორც ბინის მხრივ, ისე ეკონომიურადაც.

ხევასტი.

პროვინცია

27 მარტს, ქ. დუშეთში მოწვეულ იყო საჯარო მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალ რიცხოვანი სოფლის გლეხობა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: დუშეთის მაზრის გლეხობა უძღვნის გულითად სალამს საქართველოს მშრომელ ხალხის ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მთავრობას და სდებს ფიცს, რომ იგი მუდამ წუთს მზათ არის დაიცვას მედგარ ბრძოლით მოპოვებული საბჭოთა ძალა უფლება, მის განსამტკიცებლათ იარაღით ხელში იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს და მის რევოლიუციონურ კომიტეტს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციის ბელადს ამხანაგ ლენინს და მასთან მრავალ წამებულ მედგარ მებრძოლთ ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას.

მიტინგის თავმჯდომარე
დ. აფციაური.

ატენის თემის მცხოვრებლებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება მომენტის შესახებ, უცხადებთ სრულ ნდობას რევოლიუციონურ მთავრობას და ფიცსა ვდებთ, რომ დავიცვათ მუშების და გლეხების დამცველი მთავრობა მთელი ჩვენი ძალ-ღონით. გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას და მათ ბელადებს.

კრების თავმჯდომარე **ჯებიშაშვილი**, მდივანი **სიმონ ოქრიაშვილი.**

ჩვენ ნიჩბისელებმა, სასხორელებმა, იკორბილებმა გავხსენით კრება ციციანოვის ციხეში, ე. ი. სკოლაში. პირველ რაიონიდან გამოგზავნილმა ამხანაგებმა გახსნეს კრება და გააკეთეს მოხსენება. გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: ჩვენ, გლეხებმა გადავწყვიტეთ ერთსულოვნად ვიმუშაოთ, დავაარსოთ იაჩეიკები და ორგანიზაციები. ვაძლევთ ფიცს ჩვენს მთავრობას, რომ გლეხები ვიბრძოლებთ მტრის წინააღმდეგ და დავიცავთ ამ მთავრობას, რომელმაც გაგვანთავისუფლა ჩვენ, დაჩაგრული მუშები და გლეხები.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს წითელ საბჭოთა საქართველოს!

ავჭალის რაიონის რევკომის მოსამსახურეთა რეზოლიუცია.

„ჩვენ, მოსამსახურენი ავჭალის რაიონის რევკომისა, ვემსახურებით რა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობას, რადგანაც ვიცით რომ იგი არის ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობა—მივესალმებით და ფიცსა ვსდებთ, რომ კვალაც გაორკეცებული ვიმუშავებთ მის სასარგებლოდ, რათა იყოს იგი გამარჯვებული, რომლის გამარჯვებაც არის და იქნება ჩვენი გამარჯვებაც".

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მის მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს საერთო სოციალისტურ ბელადს ლენინს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

რევკომის თავმჯდომარე (ხელის მოწერა).

ა. წ. 20 მარტს, კვირას, კომ. პარტიის მანგლისის ორგანიზაციის მიერ გახსნილ იქნა წერა-კითხვის სკოლა. მოხსენებით ასეთი სკოლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე გამოვიდა ამხ. იკონომიდი და რუბენი. პირველმა გააკეთა მოხსენება აგრეთვე თემაზე: „მონარქია და რესპუბლიკა". სკოლის მიზანია, ერთის მხრივ, მოსახლეობის საზოგადო პოლიტიკური განვითარება, მეორეს მხრივ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. განზრახულია მსგავსი სკოლების გახსნა მთელს რაიონში.

23 მარტს ს. ძველ-მანგლისში შესდგა კრება ს. ცხინვალის, დიდი-ნამტვრევანის, პატარა-ნამტვრევანის, ზაზა-სოფლის და მეჯვისის ძველი პარტიული ამხანაგების. მოეწყო ადგილობრივი რევკომი და კომუნისტური ორგანიზაცია. შემდეგ გაიმართა საერთო მიტინგი, რომელზედაც ამხ. ცომაიელმა „კობიძემ" და იკონომიდიმ გააკეთეს მოხსენება მომენტზე. მოხსენებათა შემდეგ ამხანაგების კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, გლეხები და მუშები დღემდის ვიყავით მენშევიკების პროვოკატორ აგენტების სათამაშო ბურთად გადაქცეული, მენშევიკების აგენტი ბატონი ლადო კაკაბაძე, ვინ [illegible] თუ როგორი საზიზღროებით გვიხატავდა საბჭოთა მთავრობას და მის წითელ ლაშქარს, მაგრამ დღეს სინამდვილეს აეხადა ფარდა და წითელი ლაშქარი მოგვევლინა არა როგორც ბარბაროსი, არამედ მხსნელად. ჩვენ პირველ დღესავე დავინახეთ საბჭოთა მთავრობის უყოყმანო სურვილი დაიცვას გლეხების და მუშების ინტერესი. უძღვნით სალამს მენშევიკების ბატონობისგან დამხსნელს წითელ ლაშქარს, საქართველოს მუშათა მთავრობას და მის ბელადებს ცხაკაიას და მახარაძეს, ზიზღი მენშევიკების აგენტს ლ. კაკაბაძეს, რომელმაც შეუგნებლად თვალ ახვეულთ გაგვიშალა ფრონტი ძმათთან საბრძოლველათ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს და მის ბელადს ლენინს,

მდივანი რ. ვოხკანოვი

მკითხველის წერილები

შრომის დაცვის საკითხი საქართველოში

შრომის დაცვის საკითხი წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვან და ყურად საღებ საკითხს,—ვიდრე სხვა საკითხები სოციალური აღმშენებლობისა.

მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლებას, მუშებზე და გლეხებზე დაყრდნობილს შეუძლია დააყენოს ეს საკითხი ისე, როგორც მოითხოვს მშრომელთა ინტერესები.

უარვყოფთ რა მენშევიკების მიერ გამოგონილ კლასთა თანამშრომლობას, რისი მსგავსი სინამდვილეს არც კი მოუცია—ჩვენ ვისახავთ მიზნათ მშრომელთა იდეალების განხორციელებას,—საზოგადოების ძირიანად გარდაქმნას, საყოველთაო და ძმური შრომის საშვალებებით. ამით საბჭოთა მთავრობა თავის თავად ჰქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშრომელის ინტერესს.

მრავალ მძიმე ობიექტიურ პირობებს, როგორიც არის მუშათა კლასის ორგანიზაციულად შეუკავშირებლობა,—შეუძლია რამოდენიმედ შეაფერხოს ჩვენი რევოლიუციონური მისწრაფებანი შრომის დაცვის საკითხში.

აქ ჩვენ მოგვიხდება სასტიკი იდეური ბრძოლა ოპორტიუნისტურ ჯგუფებთან, მეტადრე მენშევიკებთან, რომელნიც ყოველნაირ ზომებს იხმარენ შეიტანონ უთანხმოება და გათიშვა მუშათა მასაში.

უწინარეს ყოვლისა მოგვიხდება შენება ცენტრში, ადგილობრივ შრომ-კომის ნორმების შემუშავება შრომის დასაცავად, საიდანაც უნდა დაიწყოს რევოლიუციონური მუშაობა მშრომელი კლასისა. შრომის კომისარიატის მიერ ამ ახლო მომავალში ალბათ იქნება გამოცემული „ნაკაზი" ინსპექციისა, რომლის ძალით მთელ საქართველოში გაჩაღდება ინსპექტორების არჩევნები.

აქ დიდი მნიშვნელობა ექნება ინსპექციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას შრომის დასაცავად.

ინსპექტორის არჩევნების სწორ ჩატარებას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა, რადგან, პირველ ყოვლისა, ეს არჩევნები უნდა მოხდეს ფართო მუშათა კონფერენციაზე პროფკავშირების თანდასწრებით. ასეთ არჩევნებს მიეცემა საერთოთ ზეიმის ხასიათი, რადგან შრომის დაცვა არის უმთავრესი საკითხი მშრომელი ხალხისა.

ინსპექციის მოქმედება იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, საიდანაც შესაძლებელი იქნება მიღება მუშებისათვის გარკვეული, მარტივი ნაკაზისა შრომის დაცვის შესახებ.

ნაკაზი კი უნდა იქნეს დაგზავნილი ინსპექციის მიერ საქარხნო კომიტეტში, რომელიც ამის ძალით ვალდებულია მოიწვიოს სპეციალური კონფერენციები, ფართო კრებები, სადაც ინსპექტორები აუხსნიან მუშებს ძირითად პრინციპებს შრომის დაცვისას.

ყოველ დღიური მუშაობა ინსპექტორებისა უნდა გამოიხატებოდეს თვალ ყურის დევნებაში კი არა მარტო, არამედ შემოქმედებითი მუშაობაშიაც, რაც უნდა მდგომარეობდეს სათანადო დეკრეტების განხორციელების ხელის შეწყობით, ნელა და თანდათანობით შესაძლებელი იქნება დაძლეულ იქნას ყოველ გვარი ფსიქოლოგიური დაბრკოლებანი, რის შემდეგ ადვილი იქნება შევიტანოთ ღრმა ცვლილებები მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

თავის თავად ცხადია, რომ ინსპექტორნი, რომელნიც უთმავრესად მოწინავე მუშებიდან იქმნებიან შემდგარნი, ვერ შესძლებენ, არც ძალუძთ, გაიყვანონ ცხოვრებაში ყველა საჭირო მოთხოვნილებანი. ამ საქმეში საჭირო იქნება მუშათა კლასმა მიმართოს სპეციალისტების თანამშრომლობას, ამ მიზნისათვის მუშათა კლასის ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს ტეხნიკა, მედიცინა და სხ. დღეს ყოველგვარი ცოდნის პატრონი არიან გაბატონებული კლასისაგან გამოსული პირები. ამიტომ მუშათა კლასი იძულებულია სხვა და სხვა საშვალებით „გადიბიროს" თავის მხარეზე ასეთი სპეციალისტები. ტეხნიკური და მედიცინის სპეციალისტები უნდა იყვნენ მხოლოთ კონსულტატებათ, რომლებმაც უნდა გაირკვიონ ადგილობრივი ინსპექციის მიერ წამოყენებული ამოცანები.

ჩვენში სჭარბობს სახელოსნოები; ამიტომ მათი ინტერესებიც რომ დაცული იქნეს, საჭიროა დაარსდეს აგრეთვე უბნის გარეშე ინსპექციები, რომელნიც ემსახურებიან რომელიმე წარმოებას ან რომელიმე დარგს სახალხო მეურნეობისას. ინსპექტორის ყურადღება უნდა იქნეს მიმართული, მეტადრე წვრილ სახელოსნოებისაკენ, სასოფლო მეურნეობისაკენ, სადაც იმყოფებიან უმთავრესი ნაწილი ჩვენი მშრომელი ხალხისა. შრომის ინსპექტორები უნდა შეეცადონ პატარ-პატარა და ბნელ სახელოსნოებში პირობები გააუმჯობესონ. ცხადია, რომ, თუ შრომის დაცვის განყოფილების გარდა დაარსებული იქნება კომისიები, შრომის დაცვისა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან ერთად, ამით შრომის დაცვის საკითხი მოგვარდება საუკეთესოდ რადგან თვით კანონმდებლობაში გამოიხატება რეალური შინაარსი ცხოვრებისა, მოთხოვნილება მშრომელთა ინტერესებისა. კანონები უეჭველად იქნება გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან ორგანიზაციულად შეკავშირებული პროლეტარიატი თვალყურს ადევნებს ყოველგვარ კანონის შესრულებას.

ა. კო—ძე.

ფოსტა

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია.

აბა ერთი ჰკითხე, კიდევ დიდ ხანს დარჩებიან აქ. თუ მალე წავლენ?

— არ ვიცით როდის წავალთ, არც ის ვიცით, თუ საით წავალთ. ამაზედ ფიქრობენ თბილისში და როცა მოგვივა ბრძანება, ჩვენც მაშინ ავიბარგებით.

ამხანაგი ანდრია ამის შემდეგ მე მაძლევდა კითხვებს, ჩემი პასუხები აინტერესებდა მას. როდესაც ამ ლაპარაკში მალე დარწმუნდა, რომ მე სახალხო მუსიკოსი ვარ და რომ დიდი ხანია ამ სფეროში ვტრიალებ და ვშრომობ, უფრო დიდის გულახდილობით და ნამდვილი რუსული გულწრფელობით გადამიშალა თავისი აზრები.

— ხო...ო...ო! მოსკოვში კარგია, ეხლა სულ სხვა ცხოვრება სდუღს სატახტო ქალაქში. თეატრები, სამკითხველოები, სკოლები, ბავშვთა თავშესაფარები ისე მრავალი და იდეალურად მოწყობილია, რომ გაგიკვირდებათ. აბა, ჩვენ ყველა ამ სიამოვნებას მოკლებულნი ვართ, მაგრამ, რადგანაც ვიცით, რომ ჩვენ ზურგს უკან ამხანაგები თავგანწირულნი იბრძვიან სახელმწიფოს შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად, ჩვენც მხნედ მივდივართ წინ და ამაყად ვიცავთ მუშათა და გლეხთა ძალაუფლებებს. ძველი ბოლშევიკი ვარ მე, მდიდრის შვილი. არაფრად ჩავაგდე მშობლების სარჩო, ერთ მშვენიერ დღეს ხმლით ხელში გამოველ ჩემ ღარიბ ძმათა მისაშველებლათ. იმ დღიდან ვიბრძვი. მაქვს ბევრი ჭრილობები. მაგრამ ყველაზე უფრო საგრძნობელი ვინტოვკის ტყვიაა, ეს ტყვია მაწუხებს, აქა მაქვს გაჭედილი,—გამოიწია სკამით და მიმითითა ბარკალზე—ამოღება საჭიროა, მაგრამ ჯერ ამისთვის არა მცალიან.

უკვე საათის 12 ხდება. გადავწყვიტეთ სტუმარი მოგვესვენებინა და ჩვენც ადრე დავწოლილიყავით, რადგანაც ხვალის საქმე [illegible] ადრე ადგომას.

ამ დღიდან მოყოლებული, ვიდრე წამოვიდოდი, იორამას დაკვირვებით თვალ ყურს ვადევნებდი, თუ როგორ მასპინძლობას გამოუჩენდა ქართველი ძველი კაცი, ამ უცნობ რუსის ახალ ადამიანს.

სტუმარი ანდრია იყო სწორედ ის კომანდირი, რომელიც მას წინათ არა ერთხელ მოვიხსენიე ზევით.

ანდრია შეუყვარდა მასპინძელ იორამასაც ისე, როგორც მთელ სოფელ ანაგას.

მართალია სტუმარი სულ ლოგინში იწვა, მაგრამ მისი ზრუნვა და ფიქრი სოფელზე ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა.

— მე არ მიყვარს ცხოვრება იმ სოფელში, სადაც ჩემი ხელქვეითნი აშავებენ რამეს. მიყვარს მომჩივნების მიღება, მათი დახმარება, მაგრამ ჭირივით მძულს მათი აქ მომყვანნი, ე. ი. შეუწუხებელნი—მითხრა ერთხელ ანდრიამ—აქ არაფერს აშავებენ, მაგრამ ანაგელი გლეხები ძაან უმასპინძლდებიან. ათრობენ, ქათმებს უკლავენ და აქეიფებენ, განა მე არ მესმის სალამ-საღამოებით ჩემი სალდათების სუფრული სიმღერები, მაგრამ რა უყო თუ დასჯაა, კანონის ძალით, ღვინის მიმრთმევიც უნდა დაისაჯოს. აბა, უბრალო გლეხი, თავაზიანი ქართველი მასპინძელი როგორ დავსაჯო? მე ერთსა ვნაღვლობ, რომ ავათა ვარ და გარედ გასვლის საშუალება დაკარგული მაქვს, თორემ მაშინ ვერც ერთი მასპინძელი ერთად დააძალებდა ჩემს სალდათს ღვინოს.

ავათმყოფს იორამა ისე უვლიდა, როგორც ნამდვილი ჭირისუფალი.

დღეში სამჯერ ამოვიდოდა დუქნიდან და კითხულობდა ანდრიას ამბავს. ჩაი თითონ უნდა დაელევინებინა, სადილი თავისი ხელით უნდა ეჭმევინა, ვახშამიც თითონ უნდა გაეშალა.

აჭმევდა ვიჩინას, ღორის ხორცს, ინდაურს, ქათამს, ხილს და სხვა, რაც სახლში მოიპოვებოდა ყველა საჭმელებს.

— აბა, სადილი მზად არის?—შეეკითხა ერთხელ თავის დედაკაცს იორამი—უნდა შევუტანო.

— დამაცა ქა...ა..! ჯერ არ მოხარშულა, რა დაგემართა? წინათ ერთ მათლაბას ამ სტოლიდან იმკუთხეში ვერ გადასდგამდი ხოლმე დაიხლა როგორ შეგიყვარდა შენი რუსი?—უპასუხებდა ხოლმე დარო.

— რა უყო მერე?—უცხო სტუმარია, მაშ პატივისცემა როგორ უნდა?

— ფეხსაც რო უნთებს? მე ვერ მოვიტან შეშას, შენ რას ეწვალები?

— შენ არ შეგაწუხებ, ისედაც ბევრი საქმე გაქვს.

— აგე, კიდევ მოუვიდა ამხანაგები... ოთხი კაცი კიდევ სხვა ჰყავს.

— მოვიდა და მოუვიდა! ეგენიც ჩვენი სტუმრები იყვნენ. სანამა გვაქვს ვჭამოთ, როცა შემოგველევა, ჩვენც ავდგეთ და გავყვეთ თან. კომუნა ესეთი არ არის?

— იჰ, ერთი შენცა! სულ ხუმრობის გუნებაზე როგორ უნდა იყო ხოლმე?

— ჰა, რა ვქნათ ილიკო, შემეკითხებოდა ხოლმე იორამი გაჭირების დროს, იქ გაუშალოთ, თუ აქ მოვიპატიჟოთ?

ესე თავაზიანად, ესე გულუხვად და კეთილ ადამიანურად მიიღო კახეთმა ჩრდილოეთიდან შემოსული წითელ ვარსკვლავთა წითელი ჯარი.

მთელი კახეთი ძმურად დახვდა, ძმურად შემოსულ უცხო სტუმარს და ესევე ძმურად გაისტუმრებს მას თავის სამშობლო საყვარელ კერას.

ილიკო ქურხული.

თბილისი.

ხუთშაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 ს. კინო-თეატრ „მინიონში" (მუშათა სასახლე, ბარიატინის ქ.)

შესდგება მწარმოებელთა პროფესიონალურ კავშირების პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) საორგანიზაციო კითხვები. მომხ. ამხ. კურულოვი.
2) შრომის სახალხო კომისარიატზე. მომხ. ამხ. მიქაძე.
3) სახალხო მეურნეობის საბჭოზე. მომხ. ამხ. მჟავანაძე.
4) სასურსათო საკითხზე—ოკუჯავა.
5) საბინაო კითხვა—საბინაო განყოფილებიდან.
6) კოლეგიის წევრთა დამტკიცება.
7) მიმდინარე საქმეები.

ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებოდ

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ"-ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

გაზ. „კომუნისტი"-ს მიღება შეიძლება ბრუსტას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).

სტამბა, კრონშტადტის ქ. № 4